განკარგულება:**გ-49. 49242438**
თარიღი:**30/08/2024**

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის -7 (შვიდი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 30 აგვისტოს №48-482424313 წერილი, რომელშიც საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულებისა და სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 24 აგვისტოს MOD 2 24 01091678 წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილებას, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი, დანართის სახით წარმოდგენილი ნახაზების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის, „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 აპრილის N 536 განკარგულებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი (დანართი ნახაზის სახით განკარგულებას თან ერთვის).
2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის -7 (შვიდი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის N 83 (გ-49.49241806) განკარგულება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე